

ამონარიდი

**OSCE/ODIHR და ვენეციის კომისიის გზამკვლევიდან
პოლიტიკური პარტიის სახელმძღვანელო პრინციპები**

**პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მონაწილეობისა და
გენდერული თანასწორობის შესახებ**

VI. ნაწილი A. გზამკვლევი პოლიტიკური პარტიების შესახებ

1. პრინციპები

12. შემდეგი პუნქტები უზრუნველყოფს საყოველთაო სახელმძღვანელო პრინციპების მიმოხილვას პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონთან მიმართებაში. გარდა ამისა გზამკვლევის სრული გაგებისა და შეფასებისთვის აღნიშნული პრინციპები წაკითხულ უნდა იქნას განმარტებითი შენიშვნებით. უფრო მეტიც, ეს პრინციპები უნდა იქნას წაკითხულ ერთობლიობაში და არც ერთი მათგანი სხვა პრინციპების გარეშე არ უნდა იქნას გამოყენებული

e) პრინციპი 5. არადისკრიმინაცია

18. პოლიტიკური პარტიების დებულებები არ შეიძლება იყოს დისკრიმინაციული, რომელიმე პიროვნების ან ჯგუფის მიმართ რაიმე ნიშნის საფუძველზე, როგორცაა რასა, ფერი, სქესი, ენა, რელიგია, პოლიტიკური ან სხვა შეხედულება, ეროვნული ან სოციალური წარმოშობა, საკუთრება, დაბადება, სექსუალური ორიენტაცია, ან სხვა სტატუსი. თავისუფალი გაერთიანების პიროვნული უფლება პარტიებისაგან არ მოითხოვს ისეთი წევრების მიღებას, რომლებიც არ იზიარებენ პარტიის იდეებსა და ფასეულობებს. თუმცა, პოლიტიკური პარტიებში ნებაყოფლობითი არადისკრიმინაციული პრინციპების დაწესება მისასაღმებელია.

f) პრინციპი 6. თანასწორი მოპყრობა

19. ყველა პიროვნებასა და ჯგუფს, რომელიც ცდილობს პოლიტიკური პარტიის დაფუძნებას, უნდა შეეძლოს აღნიშნულის განხორციელება კანონის მხრიდან თანასწორი მოპყრობის საფუძველზე. არც ერთ ინდივიდს ან ჯგუფს, რომელსაც სურვილი გააჩნია გაერთიანდეს პოლიტიკურ პარტიაში, არ უნდა მიენიჭოს უპირატესობა და არც შეიზღუდოს ამ მცდელობისთვის სახელმწიფოს მხრიდან. ისტორიული

უთანასწორობის აღმოფხვრის მიზნით, უნდა იქნას მიღებული ზომები, რათა უზრუნველყოფილ იყოს ქალებისა და უმცირესობებისათვის თანაბარი შესაძლებლობები.

ქალების, ეთნიკური, რასობრივი ან სხვა უმცირესობების წარმომადგენლებისათვის გატარებული დროებითი სპეციალური ზომები უნდა იქნას დე-ფაქტო თანასწორობის წახალისებისაკენ მიმართული და დისკრიმინაციულად არ უნდა იქნას მიჩნეული, რაც ადრე დისკრიმინაციის საგანს წარმოადგენდა.

31. მთელი რიგი დადგენილი უნივერსალური და რეგიონალური სამართლებრივი ინსტრუმენტები სახელმწიფოებრივი ვალდებულებათა შეფასებას უქმნიან საფუძველს, რაც დაკავშირებულია პოლიტიკური პარტიების საქმიანობასთან.

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR) და ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტური თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია (ECHR) არის ორი მთავარი იურიდიული დოკუმენტი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ამ მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან. ამას გარდა, კონვენცია ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) სახელმწიფოში არსებული პრინციპების განუყოფელი ნაწილია, რაც უზრუნველყოფს გენდერულ თანასწორობას პოლიტიკურ პარტიებში.

ამისთან ერთად, უფლებები და გარანტიები ჩამოყალიბებულია აღნიშნულ სავალდებულო ხასიათის იურიდიულ დოკუმენტებში და ასევე, მეორდება საერთაშორისო სამართლის ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციაში (UDHR). აგრეთვე, არსებობს ეუთოს სახელწიფოების მთელი რიგი პოლიტიკური ვალდებულებები, რაც მნიშვნელოვანია ამ საკითხების სრულად აღსაქმელად. კერძოდ, ეს ინსტრუმენტები მოიცავს ადამიანის განზომილების შესახებ კოპენჰაგენის კონფერენციის ფარგლებში (CSCE) შეხვედრის დოკუმენტს. ევროსაბჭომ (როგორც – მინისტრთა კომიტეტისა ასევე, საპარლამენტო ასამბლეის მეშვეობით), ევროკომისიამ დემოკრატიის საკითხებში სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით (ვენეციის კომისია) და ევროსაბჭოს სხვა ორგანოებმა აგრეთვე მთელი რიგი სახელმძღვანელო დოკუმენტები გამოაქვეყნეს, რომლებიც უზრუნველყოფენ პოლიტიკურ პარტიებთან მიმართებაში კანონმდებლობის საუკეთესო პრაქტიკის სწორად გაგებას. უკანასკნელი დამატება ამ დოკუმენტებში არის გაეროს კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ (UNCAC) და 1999 წლის ევროსაბჭოს სისხლის სამართლის კონვენცია კორუფციაზე.

ქ) არადისკრიმინაცია

53. თავისუფალი შეკრება და აზრის გამოხატვის თავისუფლება, პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების ჩათვლით, წარმოადგენს პიროვნების აღიარებულ უფლებას, დისკრიმინაციის გარეშე?

ის პრინციპი, რომლის მიხედვითაც ადამიანის ფუნდამენტური უფლებები უნდა ვრცელდებოდეს დისკრიმინაციის გარეშე, ყველა სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში, არის მნიშვნელოვანი გარანტი ამ უფლებების სრულად გამოყენებისა და დაცვისთვის. არადისკრიმინაცია ახსნილია ICCPR-ის მე-2 და 26-ე მუხლებში და ECHR-ის მე-14 მუხლში, ისევე, როგორც მთელ რიგ სხვა საყოველთაო და რეგიონალურ დოკუმენტებში, როგორცაა CEDAW. აღსანიშნავია რომ ECHR-ის მე-14 მუხლის მიხედვით დისკრიმინაცია განისაზღვრება უკანონოდ მხოლოდ კონვენციის ფარგლებში დაცული ნებისმიერი უფლებით სარგებლობის კუთხით. ECHR პროტოკოლი 12 აფართოებს არადისკრიმინაციულობის პრინციპს, ავითარებს რა ფუნდამენტურ და დამოუკიდებელ ვალდებულებას იმის თაობაზე რომ:

“კანონით დადგენილი ყოველი უფლებით სარგებლობა უნდა იქნას დაცული დისკრიმინაციის გარეშე, ნებისმიერ საფუძველზე როგორცაა სქესი, რასა, ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური თუ სხვა პოზიცია, ეროვნული თუ, სოციალური წარმომავლობა, ეროვნული უმცირესობის წევრობა, საკუთრება, დაბადება ან სხვა სტატუსი”.

55. ქალებს ასევე, უზრუნველყოფილი აქვთ თანასწორუფლებიანობის დაცვა მთელი რიგი საერთაშორისო დოკუმენტებით. გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა მიიღონ “ყველა სათანადო ზომა, კანონმდებლობის ჩათვლით, რათა უზრუნველყონ ქალთა ყოველმხრივი განვითარება და წინსვლა, რომ მათ გააჩნდეთ ადამიანის უფლებებითა და ფუნდამენტური თავისუფლებით სარგებლობის გარანტია, მამაკაცებთან თანასწორობის საფუძველზე”. CEDAW მე-4 მუხლი აცხადებს, რომ ქალთა დე-ფაქტო თანასწორობის გარანტირებისთვის სახელმწიფოს მიერ მიღებული სპეციალური ზომები “არ უნდა იქნას მიჩნეული დისკრიმინაციად ... არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მოიტანოს შედეგად უთანასწორო და ცალკე აღებული სტანდარტების დაცვა”.

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი რეკომენდაციით 2003(3) ასევე, მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, “ყველა სათანადო საშუალებით მხარი დაუჭირონ გენდერული ბალანსის წამახალისებელ პროგრამებს, პოლიტიკურ ცხოვრებასა და საზოგადოებრივ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელთა განხორციელებაც მიმდინარეობს ქალთა ორგანიზაციებისა და სხვა გენდერულ თანასწორობაზე მომუშავე სტრუქტურების მიერ.” პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორი მონაწილეობის პრინციპი, კიდევ ერთხელ დადასტურდა

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის დეკლარაციაში “გენდერული თანასწორობის რეალობად ქცევა” (CM(2009)68), სადაც წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ “განახორციელონ პოზიტიური ქმედებები ან სპეციალური ღონისძიებები, რათა მიაღწიონ, დაბალანსებულ მონაწილეობას ქალთა და მამაკაცთა ჩართულობით გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ყველა სექტორში, განსაკუთრებით შრომის ბაზარსა და ეკონომიკურ ცხოვრებაში, ისევე როგორც პოლიტიკური და საზოგადოებრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესში”.

ახლახანს, 1899(2010) რეკომენდაციაში, სახელწოდებით “ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა პოლიტიკაში საარჩევნო სისტემის მეშვეობით”, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი მოუწოდებს წევრ ქვეყნებს კვოტების შემოღებით გაზარდონ ქალთა წარმომადგენლობა.

56. ICCPR 26-ე მუხლი მოიცავს მოთხოვნას დისკრიმინაციის არ არსებობის შესახებ სექსუალური ორიენტაციისა და სქესის ნიშნით. გარდა ამისა, დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე აკრძალულია ევრო კავშირის ძირითად უფლებათა ქარტიით (მუხლი 21(2)). ამ თვალსაზრისით, სახელმწიფოებმა უნდა გაითავისონ, რომ სექსუალური ორიენტაცია ასევე, მიეკუთვნება არადისკრიმინაციის პრინციპით დაცულ კატეგორიას.

57. არადისკრიმინაცია გულისხმობს პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაციის აკრძალვას, მოითხოვს რა, რომ ყველა პიროვნებაზე ვრცელდებოდეს კანონით გათვალისწინებული თანაბარი დაცვა (ICCPR მუხლი 26). რამდენადაც პირდაპირი დისკრიმინაცია მოიცავს ყველა ქმედებას ან დებულებას, რაც ნათლად უწყობს ხელს უთანასწორობას, არაპირდაპირი დისკრიმინაცია გულისხმობს ქმედებებსა თუ კანონებს, რომელიც გარეგნულად არ არის დისკრიმინაციული, მაგრამ უთანასწორო მოპყრობას ან შესაბამის შედეგებს იწვევს. ამგვარი დისკრიმინაცია ხშირად უფრო გავრცელებული და რთული აღსაკვეთია, ვიდრე პირდაპირი. მაშასადამე, პოლიტიკური პარტიების დაფუძნებასა და საქმიანობასთან დაკავშირებით, ყველა მარეგულირებელი გადაწყვეტილება უნდა უზრუნველყოფდეს თანასწორ მოპყრობასა და ეფუძნებოდეს ერთსა და იმავე კანონებსა და დებულებებს, რომლებიც ყველა შემთხვევაში თანაბრად გამოყენებული იქნება.

58. პოლიტიკური სფეროს ფარგლებში თანასწორობის მოთხოვნები შესაძლებელია განიმარტოს, როგორც აბსოლუტური (თანასწორი) ან მიღწეული პროპორციულ ან “სამართლიან” საფუძველზე (მაგალითად, განპირობებული პარლამენტში პარტიის ადგილების რაოდენობით). მეორე განმარტება არ უნდა იქნას მიჩნეული დისკრიმინაციულად, ვინაიდან იგი ობიექტურ და რაციონალურ საფუძველზეა დამყარებული.

59. ასევე, დისკრიმინაციის საერთო პოტენციური შედეგები, უნდა იქნას აღიარებული. პიროვნება ერთდროულად შეიძლება რამდენიმე დისკრიმინაციული ფაქტორის ზემოქმედებას განიცდიდეს. მაგალითად, მღვდრობითი სქესის ეთნიკური უმცირესობა ხშირად განიცდის ორმაგ ჩაგვრას პოლიტიკური და სოციალური უფლებების თვალსაზრისით. როდესაც დისკრიმინაციის საფუძვლები (როგორცაა სქესი, ეთნოსი და ასაკი) გადაიკვეთება, შესაძლებელია ახალი გაუთვალისწინებელი შედეგები იქნას გამოწვეული, რომელთათვისაც არაადეკვატურია ღონისძიებები განკუთვნილია მხოლოდ ერთ-ერთი მათგანის წინააღმდეგ. მაშასადამე, იურიდიულ და მარეგულირებელ ჩარჩოებში ყურადღება უნდა მიექცეს ამგვარი კუმულაციური შედეგების არსებობასა და პოტენციურ პრევენციულ ღონისძიებებს.

60. მსგავსად, ხელისუფლება პოლიტიკურ პარტიებს თანასწორ საფუძველზე უნდა მოეპყრას და ამგვარად შეინარჩუნოს ნეიტრალურობა პოლიტიკური პარტიების დაფუძნების, რეგისტრაციის (როცა შესაძლებელია) და საქმიანობის საკითხებში. ხელისუფლებამ თავი უნდა შეიკავოს ნებისმიერი მეთოდისგან, რამაც შესაძლებელია, რომელიმე პარტიის პრივილეგირება ან დისკრიმინაცია მოახდინოს. ყველა პოლიტიკურ პარტიას უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს, რაიმე ნიშნით დისკრიმინაციის ან ხელისუფლების მხრიდან უთანასწორო მოპყრობის გარეშე.

გ) შიდა პარტიული ფუნქციები

61. მიუხედავად იმისა, რომ კანონში არ არსებობს მოთხოვნა, პრაქტიკაში მიღებულია, რომ შიდა პარტიული ფუნქციები ითვალისწინებდნენ არადისკრიმინაციულობასა და თანასწორობის პრინციპებს. ეს შეიძლება გულისხმობდეს პარტიის პრინციპებს წევრობაზე, კანდიდატობაზე და პარტიის საქმიანობაზე, რაც უზრუნველყოფს ქალებისა და უმცირესობების თანაბარ მონაწილეობას. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, ასეთი ზომები მიჩნეულია დადებით გამოცდილებად, ვინაიდან ქალები და უმცირესობები წარმოადგენდნენ ისტორიულ უთანასწორობის თემას ეუთოს რეგიონში და გლობალურად და რაც გამოსწორებას საჭიროებს.

62. პოლიტიკური პარტიის შიდა ფუნქციები სახელმწიფოებრივი ჩარევისგან დამოუკიდებელი უნდა იყოს. პოლიტიკური პარტიების შიდა ფუნქციების საუკეთესო რეგულირების გზას წარმოადგენს პარტიული კონსულტაციები ან ნებაყოფლობითი ქცევის კოდექსები შემუშავებული და შეთანხმებული თვით პარტიების მიერ.

გ) არადისკრიმინაციული მარეგულირებელი ზომების უზრუნველყოფა

84. კანონმდებლობამ უნდა მისცეს სტიმული პოლიტიკურ პარტიებს უზრუნველყონ ქალთა და უმცირესობათა პოლიტიკურ პროცესებში სრული მონაწილეობა და წარმომადგენლობა.

მაგალითად, სახელმწიფომ შეიძლება დაუშვას ეროვნული უმცირესობების პარტიათა მხარდაჭერის მაჩვენებლების დაბალი დონე. ამგვარი ზომები არადისკრიმინაციულია, ვინაიდან ისინი შეესაბამება საერთაშორისო და რეგიონალურ ინსტრუმენტებს, რაც ითვალისწინებს სპეციალური ღონისძიებათა გატარებას დე-ფაქტო თანასწორობის უზრუნველსაყოფად. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა და უმცირესობათა სრული მონაწილეობის მხარდაჭერას

85. რიგმა ქვეყნებმა ბოლო წლებში წარმოადგინეს საარჩევნო გენდერული კვოტა ასევე, ბევრ სხვა სახელმწიფოში პოლიტიკური პარტიები ნებაყოფლობით იყენებენ მათ. მაგალითად, როგორც აღნიშნულია ვენეციის კომისიის ანგარიშში – “საარჩევნო სისტემების გავლენა პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობაზე”, ევროსაბჭოს ათმა წევრმა სახელმწიფომ (რომლებიც ასევე ეუთოს მონაწილე სახელმწიფოები არიან) შემოიღეს სავალდებულო, სამართლებრივი კვოტები ეროვნული პარლამენტისთვის (ბელგია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, საფრანგეთი, სომხეთი, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა, მაკედონია, სერბეთი, პორტუგალია, სლოვენია, ესპანეთი და ალბანეთი). ხსენებული კვოტები გენდერული თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განსხვავებულია მინიმალური პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით, რაც მერყეობს ორივე სქესის 15%-იდან 50%-მდე. რამდენიმე ქვეყანა ასევე, იყენებს რანჟირების სიას. მაგალითად, სერბეთში ყოველი მეოთხე პოზიცია დაკავებული უნდა ჰქონდეს ნაკლებად-წარმოდგენილ სქესს; ბოსნია და ჰერცეგოვინაში ნაკლებად-წარმოდგენილი სქესი უნდა იყოს ერთერთი თანამდებობათა რანჟირების სიის პირველ ორ წევრს შორის, ორი პირველ ხუთეულში, და სამი – პირველ რვას შორის; ასევე ბელგიაში, უმაღლესი ორი თანამდებობა არ უნდა იქნას დაკომპლექტებული ერთი და იგივე სქესის კანდიდატით. ევროსაბჭოს დაახლოებით 30 წევრ სახელმწიფოში, ერთ ან მეტ პოლიტიკურ პარტიას ნებაყოფლობითი კვოტა აქვს მიღებული, რათა უზრუნველყოფილი იქნას ქალთა კანდიდატურების პროპორციულობა.

IX. პოლიტიკური პარტიების შიდა საქმიანობა

1. პარტიის შიდა დემოკრატიული სისტემა

97. დემოკრატიულ სისტემაში პარტიათა მნიშვნელოვანი როლის გამო, ეუთოს წევრმა სახელმწიფოებმა შეიმუშავეს კანონი, რათა პარტიის შიდა ფუნქციები თავისი ხასიათით დემოკრატიული გახდეს. პარტიის შიდა ფუნქციების მარეგულირებელი წესდება, შეძლებისამებრ სპეციალურად, ისეთი ფორმით უნდა იქნას შედგენილი, რომ არ მოხდეს პარტიის

უფლებებში ჩარევა, ვინაიდან პარტია წარმოადგენს თავისუფალ ასოციაცია, რომელიც მართავს შიდა საქმიანობას.

98. რამდენადაც პარტიებს წვლილი შეაქვთ პოლიტიკური აზრის გამოხატვაში და წარმოადგენენ არჩევნებზე კანდიდატების წარდგენის ინსტრუმენტებს, საჭიროა პარტიის შიდა საქმიანობის გარკვეული დებულებების არსებობა, რაც უზრუნველყოფს დემოკრატიული საზოგადოების სათანადო ფუნქციონირებას. ყველაზე ხშირად მიღებული სახელმძღვანელო პრინციპები შემოიფარგლება პარტიის მიმართ გადაწყვეტილების მიღების საკითში გამჭვირვალებობისა და პარტიის საარჩევნო სტრუქტურისა და კანდიდატების განსაზღვრისას წევრთაგან ჩართულობის მოთხოვნით.

a) გენდერული თანასწორობა

99. პოლიტიკაში ქალთა მცირე რაოდენობა კრიტიკულ საკითხად რჩება, რაც აფერხებს დემოკრატიული პროცესების სრულყოფილ ფუნქციონირებას. ბევრ სახელმწიფოში ქალების რაოდენობა პარლამენტში კვლავ წარმოადგენს ერთნიშნა უმცირესობას და ევროპული საშუალო მაჩვენებელი შეადგენს მხოლოდ 18%-ს. სპეციალური საშუალებები, რაც ქალთა არჩევნებში კენჭისყრისა (იხილეთ III პარაგრაფი) და არჩეულ ორგანოებში მათ ადეკვატურ წარმომადგენლობას უზრუნველყოფს, უნდა იქნას მიჩნეული პარტიის შიდა წესებად. ეს შესაბამისობაში იქნებოდა 1899(2010) რეკომენდაციასთან “საარჩევნო სისტემების მეშვეობით პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა”, სადაც ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი ხელს უწყობს წევრ ქვეყნებში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდას კვოტების დანერგვის გზით.

100. პარტიაში სპეციალური “ქალთა სექციისა” ან “გენდერული დანაყოფის” შექმნა ზოგჯერ გამოიყენება, როგორც გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მექანიზმი. მსგავს სექციებსა, თუ დანაყოფებს ხელეწიფებათ ქალთა მონაწილეობის საკითხში სერიოზული წარმატება განაპირობონ, მას შემდეგ რაც ქალებს საშუალება მიეცემათ მონაწილეობა მიიღონ საყოველთაო პრობლემების განხილვაში, ისევე როგორც ფორუმებში, რომლებიც კომპეტენციის გაზრდის თემებს ეხება. მიუხედავად იმისა, რომ OSCE/ODIHR-მა ცნო, რომ ეს ორგანოები შესაძლოა ზოგჯერ ქალების ინტერესების წინააღმდეგ იყვნენ მიმართულნი, პარტიის შიგნით მარგინალიზაციისა და ჩამოშორების გზით, მათი შექმნა ზოგადად დადებით მოვლენად მიიჩნევა ქალთა თანასწორი მონაწილეობის და გენდერული ცოდნის თვალსაზრისით.

101. ქალთა თანასწორობის უზრუნველყოფი საყოველთაო და რეგიონალური დოკუმენტებსა და დისკრიმინაციის არ არსებობის ზოგად პრინციპთან მიმართებაში, კანონმდებლობაში ძალისხმევა უნდა იქნას გამოჩენილი, რათა უზრუნველყოფილ იქნას ქალთა სრული მონაწილეობა პოლიტიკურ პარტიებში, როგორც ფუნდამენტური საშუალება

პოლიტიკური უფლებებით სარგებლობისა. CEDAW მე-4 მუხლის თანახმად, უნდა იქნას მიღებული სპეციალური ზომები, რაც შეიძლება მოიცავდეს ისეთ დებულებებს, როგორცაა წარმომადგენლობითი კვოტების მიღება, კანდიდატების შერჩევის საბჭოში გენდერული ბალანსის მოთხოვნები, გენდერული ნეიტრალური შერჩევის კრიტერიუმების შემოღება, ან სპეციალიზებული სასწავლო პროგრამები. ნებაყოფლობითი კვოტები, რაც ჯერ არ არის სამართლებრივად გამყარებული, მაგრამ შეტანილია პარტიის საარჩევნო სტრუქტურაში, ასევე ქალთა წარმომადგენლობის უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმია.

102. ვენეციის კომისიისა და ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის თანახმად, საარჩევნო გენდერული კვოტები შეიძლება ქალთა საპარლამენტო წარმომადგენლობის გაზრდის სათანადო და ლეგიტიმურ საშუალებად იქნას მიჩნეული. 2009 წლის მინისტრთა საბჭოს დეკლარაციაში “გენდერული თანასწორობის რეალობად ქცევა”, წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ დადებითი ქმედებებისა და სპეციალური ზომების მიღება იმისთვის, რომ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გადაწყვეტილების მიღებაში დაბალანსებულ წარმომადგენლობას მიაღწიონ. მსგავსად, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის შესახებ ეუთოს No. 7/09 გადაწყვეტილების თანახმად, მინისტრთა საბჭო მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ მათ “გაითვალისწინონ შესაძლო საკანონმდებლო მექანიზმები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ პოლიტიკურ პარტიებში და განსაკუთრებით გადაწყვეტილების მიღების საკითხში ქალთა და მამაკაცთა უფრო დაბალანსებულ მონაწილეობას”, და რომ აღნიშნულმა სახელმწიფოებმა “წაახალისონ ყველა პოლიტიკური ფიგურა, ხელი შეუწყონ ქალთა და მამაკაცთა თანაბარ მონაწილეობას პოლიტიკურ პარტიებში, რათა იქნას მიღწეულ გენდერული თვალსაზრისით უკეთესად დაბალანსებული წარმომადგენლობა არჩევით ორგანოებში გადაწყვეტილების მიღების ყოველ ეტაპზე”. ყველა ეს ნაბიჯი დადებით გამოცდილებადაა მიჩნეულია.

103. სპეციალური ღონისძიებები ასევე საჭიროებისამებრ უნდა მოიცავდეს სასწავლო და კვალიფიკაციის ასამაღლებელ პროგრამებს, შექმნილს მდებრებითი კანდიდატებისთვის მათ არჩევამდე, რათა მათ გააჩნდეთ თანასწორი შესაძლებლობა იყვნენ კანდიდატების რანგში და არჩეულ იქნან. ხსენებული სასწავლო პროგრამები შესაძლებელია ახალი გამოცდელი წევრებისთვის მენტორულ მასალებს (ქალთა და უმცირესობათა ჩათვლით) მოიცავდეს, ისევე როგორც გენდერულად-სენსიტიურ სასწავლო კურსებს, რაც ხელს შეუწყობს არადისკრიმინაციულ სამუშაო ურთიერთობებსა და დაიცავს სამსახურეობრივი და მართვის სტილის მრავალფეროვნებას. მსგავსი პროგრამები და სპეციფიური ღონისძიებები აუცილებლად უნდა განხორციელდეს უმცირესობათა მონაწილეობის გარანტირების მიზნით. კანონმდებლობამ შეიძლება მოითხოვოს ამგვარი სწავლებები, როგორც ქალებისთვის დე-ფაქტო თანასწორობის უზრუნველსაყოფი საშუალება და

ასევე პოლიტიკურ ცხოვრებაში ისტორიული უთანასწორობის გავლენის მინიმიზაციის მიზნით.

104. ქალებისთვის სპეციალური ღონისძიებები შეიძლება ასევე, მოიცავდეს გენდერული თანასწორობის სტრატეგიების, გეგმებისა და პროგრამების მიღებას, განხორციელებასა და შეფასებას სხვადასხვა დონეზე, სპეციფიური სამოქმედო გეგმების ჩათვლით, რათა მიღწეულ იქნას ქალთა და მამაკაცთა დაბალანსებული მონაწილეობა და წარმომადგენლობა პოლიტიკური პარტიების შიდა საქმიანობაში. გარდა ამისა, შესაძლებელია ასევე, ჩართულ იყოს სამიზნე ჯგუფების, დროის ჩარჩოებისა და კრიტერიუმების დადგენის მოთხოვნა გენდერული თანასწორობის ეფექტური განხორციელებისათვის, სპეციალური სამოქმედო გეგმების ჩათვლით.

105. ქალთა მონაწილეობა პოლიტიკური პარტიის საქმიანობაში შესაძლებელია გაიზარდოს პარტიის წევრთა ოჯახის წევრების ვალდებულებათა გათვალისწინებით. ზოგიერთი წევრისთვის ოჯახური ვალდებულებანი შეიძლება გახდეს შემაფერხებელი პარტიის საქმიანობაში მონაწილეობის თვალსაზრისით. პარტიულ შეხვედრებზე დასწრების აუცილებლობის თავიდან აცილებამ, რაც წინააღმდეგობაში მოდის წევრების ოჯახურ ვალდებულებებთან და ასევე, ბავშვთა მოვლის ობიექტებით უზრუნველყოფამ შეიძლება პარტიის საქმიანობაში მონაწილეობას ხელი შეუწყოს.

X. პარტიის სტრუქტურა და საქმიანობები

1. პარტიის შიდა წესები

109. პოლიტიკური პარტიების თვალსაზრისით კანონმდებლობა შეიძლება არ მოიცავდეს მოთხოვნებს პარტიის კონსულტაციების მექანიზმის შექმნისა და გამოქვეყნების შესახებ. თუმცა, ეუთოს ზოგიერთ სახელმწიფოში მსგავსი სტრუქტურა სამართლებრივად არის დადგენილი და შეიძლება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყოს თანასწორობისა და არადისკრიმინაციის შესახებ პარტიის ვალდებულების გარანტიის მიმართულებით. ეუთოს ზოგიერთ სახელმწიფოში პარტიის სტრუქტურა მოიცავს ნებაყოფლობით კვოტას ქალთათვის თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად. ნებაყოფლობითი კვოტების მიღება წარმოადგენს პარტიების მხრიდან სამაგალითო ძალისხმევას და უნდა იქნას დადებითად აღქმული.

2. პარტიის ლიდერებისა და კანდიდატების შერჩევა

113. პარტიებს უნდა გააჩნდეთ შესაძლებლობა, რათა განსაზღვრონ პარტიული ფუნქციონერები და კანდიდატები, მთავრობის ჩარევის გარეშე. მას შემდეგ რაც აღიარებულ იქნა რომ, საარჩევნო სიაში კანდიდატთა და რანჟირების სისტემის დადგენა ხშირად განპირობებულია დახურული

ორგანიზაციებითა და პოლიტიკოსთა დამკვიდრებული სპექტრის მიერ, საჭირო გახდა ნათელი და გამჭვირვალე კრიტერიუმების შემოღება კანდიდატთა შესარჩევად, იმისათვის რომ ახალ წევრებს (ქალებისა და უმცირესობების ჩათვლით) გააჩნდეთ ხელმისაწვდომობა გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე მოსახვედრად. ასევე, მისასაღმებელია შერჩევის ორგანოთა დაბალანსირებული გენდერული შემადგენლობა.

XI. პარტიები არჩევნებზე

1. კანდიდატებისა და პარტიების როლი

b) პოლიტიკური პლურალიზმი

125. პლურალიზმის უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებათა თვალსაზრისით, სამართლებრივმა ბაზამ უნდა უზრუნველყოს თანასწორი მიდგომა ყველა პოლიტიკური პარტიისა და კანდიდატისადმი, ქალთა და უმცირესობათა ჯგუფების ჩათვლით. რაც მოიცავს არსებული კანდიდატების უფლებათა დაცვას, ისევე როგორც პოლიტიკური დაფინანსებისა და საზოგადოებრივი მხარდაჭერის მიღების უფლებას.

e) გენდერული თანასწორობა კანდიდატთა შერჩევაში

131. პოლიტიკური პარტიების მარეგულირებელ საკანონმდებლო ბაზაში უნდა იქნას უზრუნველყოფილი, რომ ქალებსა და მამაკაცებს გააჩნდეთ კანდიდატად ყოფნისა და არჩევნებში გამაჯვების თანაბარი შანსი. კანდიდატობის უზრუნველყოფის ზემოთ განხილული საშუალებების გარდა (პარტიათა ნებაყოფლობითი კვოტები, გენდერულად დაბალანსებული შერჩევის კომიტეტები, და ტრენინგები მდებარეობითი სქესის კანდიდატებისთვის, ისევე როგორც გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმები და კანდიდატთა შერჩევის ნათელი და გამჭვირვალე წესები), პარტიებმა უნდა განახორციელონ ყველა სხვა ღონისძიება წარმოდგენილი სახელმწიფოს მხრიდან, რათა არჩევნებზე განხორციელდეს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა, კანდიდატად ყოფნისა და პარტიულ სიაში მოხვედრასთან დაკავშირებული გენდერული თანასწორობის დებულებების ჩათვლით.

132. ქალთა მიმართ ყველა ტიპის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (CEDAW) მე-4 მუხლი აცხადებს, რომ “ხელისუფლების მიერ დროებითი სპეციალური ღონისძიებების მიღება, რაც მიმართულია ქალთა და მამაკაცთა დე-ფაქტო თანასწორობის გაზრდისკენ, არ უნდა იქნას მიჩნეული დისკრიმინაციად...”. როგორც ასეთი, ისტორიული უთანასწორობის გადმოსახედიდან, რასაც ქალები განიცდიდნენ ეუთოს რეგიონში და გლობალურად, სახელმწიფოებმა შეიძლება კანონმდებლობაში შეიტანონ გარკვეული მოთხოვნები ან გაატარონ სხვა ღონისძიებები მიმართული პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის და ქალთა კანდიდატად გახდომის თანასწორუფლებიანი უზრუნველყოფისკენ.

133. კვოტები არის ერთ-ერთი მსგავსი საშუალება, რასაც შეიძლება მიმართონ სახელმწიფოებმა. 1899(2010) რეკომენდაციაში “საარჩევნო სისტემის საშუალებით პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის შესახებ”, საპარლამენტო ასამბლეა მოუწოდებს ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოებს ქალთა წარმომადგენლობის გასაზრდელად კვოტების შემოღებას. პროპორციული წარმომადგენლობითი სიის მქონე ქვეყნებს ეძლევათ რეკომენდაცია მიიღონ სავალდებულო კვოტები, რაც უზრუნველყოს არა მხოლოდ მდებარეობითი სქესის კანდიდატთა მაღალ რაოდენობას (საუკეთესო შემთხვევაში სულ მცირე 40%), მაგრამ ასევე რანჟირების მკაცრ წესს, მაგალითად, “ელვა” სისტემა მამრობით/მდედრობით კანდიდატთა მონაცვლეობისთვის ან ყოველი სამ კაციანი კანდიდატთა ჯგუფი სიაში (1-3, 4-6, 7-9, და ა.შ.) სულ მცირე ერთ ნაკლებად-წარმოდგენილ სქესს უნდა მოიცავდეს. რანჟირების თანმიმდევრობის წესის მიხედვით, როგორც ასეთი, მდებარეობით კანდიდატებს არ აქვთ სურვილი სიაში ქვემო პოზიციებზე მოხვედრისა, რათა არ წაერთვათ არჩევის რეალური შანსი. უმრავლესობაზე დამყარებული და პლურალისტული სისტემების მქონე ქვეყნებს მოეწოდებათ შემოიღონ ისეთი პრინციპი, როცა პარტია ირჩევს სულ მცირე ერთ მდებარეობითი და ერთ მამრობითი სქესის კანდიდატს თითოეული პარტიის სამოქმედო რაიონში ან მოიძიონ სხვა გზა პოლიტიკაში ქალთა გაზრდილი წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად.

134. იქ სადაც დადგენილია კვოტები, არსებობს შეშფოთების ფაქტორი, რომ ხსენებული კვოტები შექმნიან გენდერული პროგრესის ზედა ზღვარს იმის მეშვეობით, რომ პარტიებს მოეთხოვებათ ქალები შეზღუდონ დაბალი დონის ადგილებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას რეგლამენტებთან შესაბამისობა. ამგვარი კვოტების უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ქალებს მიეცეთ წამყვანი პოზიციებისკენ მოძრაობის საშუალება, რათა არ დაწესდეს დე-ფაქტო შეზღუდვები მათ წინსვლაზე. კარგ პრაქტიკას წარმოადგენს კვოტების პერიოდულად გადახედვა, რათა შეფასდეს უნდა მოხდეს თუ არა მათი შენარჩუნება იმავე დონეზე თუ, რაოდენობა უნდა გაიზარდოს, განსაკუთრებით დაბალი რგოლის ხელმძღვანელობაში.

135. საარჩევნო სიაში კანდიდატად მოხვედრა არ გახლავთ ქალთა წარმომადგენლობის გარანტი. გავრცელებული კულტურული და ისტორიული ფაქტორები ქმნიან უთანასწორობის მომენტს, რაც არ არის ადვილად მოგვარებადი მხოლოდ კვოტებისა და სიების მოთხოვნით. მაგალითად, ოჯახური ვალდებულებები ხშირად იდენტიფიცირებულია მთავარი შემაფერხებელ ფაქტორად პოლიტიკაში ქალთა მოსვლის თვალსაზრისით. მოუხერხებელ დროს დანიშნული პარტიული შეხვედრები, ისევე როგორც ბავშვის მოვლის საშუალებების ნაკლებობა, აფერხებს ბევრ კანდიდატს, რომელთაც აკისრიათ ოჯახური მოვალეობები. გარდა ამისა, ქალები ხშირად იღებენ უფრო ნაკლებ დახმარებას და დაფინანსებას მათი პარტიებიდან საარჩევნო კამპანიის პერიოდში, ასევე,

შესაძლოა არსებობდეს მოლოდინი იმისა, რომ არჩევნების შემდეგ ისინი დაუთმობენ თავიანთ მანდატს მამაკაც კოლეგებს. სახელმწიფომ უნდა მიიღოს საჭირო ზომები მსგავსი შემთხვევების პრევენციისთვის და ასევე განახორციელოს ეფექტური ღონისძიებები ქალთა კანდიდატურების ხელშეწყობისთვის.

136. უნდა არსებობდეს სხვადასხვა სანქციები მიმართული პარტიების მიერ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფი სამართლებრივი ღონისძიებების შეუსრულებლობის წინააღმდეგ. სანქციები შეიძლება ვარიირებდეს დაწყებული ფინანსური სანქციებიდან, როგორცაა საჯარო დაფინანსებაზე უარი ან ფონდების შემცირება, უფრო მძიმე სამართლებრივ სანქციებამდე, როგორცაა პარტიის ამოღება საარჩევნო სიიდან. ყველა შემთხვევაში, სანქციები დარღვევის პროპორციული უნდა იყოს.

2. საარჩევნო ხელმისაწვდომობა

a) საარჩევნო ხელმისაწვდომობა პოლიტიკური პარტიებისთვის

143. საარჩევნო ხელმისაწვდომობის საშუალება ყველა პარტიისთვის უნდა იყოს თანაბარი და არადისკრიმინაციული. დასაშვებია შეიძლება გახდეს ფულადი შენატანი; ზედმეტი ფულადი შენატანი უნდა იქნას მიჩნეული დისკრიმინაციულად, რადგან ეს ზღუდავს იმ მოქალაქეთა უფლებას, რომელთაც არ გააჩნიათ ადეკვატური რესურსები, რათა მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში და ისარგებლონ ადამიანთა უფლებების დაცვის მექანიზმებით. პოლიტიკური პარტიის სხვა დებულებებთან ერთად, ამგვარი თანხები ობიექტურად უნდა იქნას გამოყენებული ყველა პარტიის მიერ. სახელმწიფოებს ეძლევათ რეკომენდაცია, რომ უზრუნველყონ არჩევნებზე რეგისტრაციის არა-ფულადი მეთოდები, როგორცაა მინიმალური მხარდაჭერის დაფიქსირება ხელმოწერების შეგროვებით. ალტერნატიული არა-ფულადი მეთოდი უნდა იყოს ხელმისაწვდომი, რადგანაც, რეგისტრაცია საჭიროა ეყრდნობოდეს მინიმალური მხარდაჭერის დონეს და არა ფინანსურ სტატუსს.

b) პოლიტიკური პარტიებისთვის მედიის ხელმისაწვდომობა

148. მასმედიის ხელმისაწვდომობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს, რომლის მოპოვებასაც პარტიები ცდილობენ საარჩევნო კამპანიის პერიოდში, თანაბარი შანსების უზრუნველსაყოფად, კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს საზოგადოებრივი მედიის ხელმისაწვდომობას არ უნდა იყოს დისკრიმინაციული ხასიათის პარტიებისა და კანდიდატებისთვის და უნდა უზრუნველყოფდეს მათ მიმართ თანაბარ მიდგომას.

152. ნებისმიერ არჩევნებში მედიის მთავარი როლია საზოგადოებას მიაწოდოს საკმარისი ინფორმაცია ინფორმირებული არჩევანის გაკეთებისთვის ყველა კანდიდატის შესახებ. ეს გახლავთ პოზიტიური გამოცდილება ქალთა და უმცირესობის ჯგუფების კანდიდატების სასარგებლოდ, რათა მათ მედიაში გაშუქების სამართლიანი და მიუკერძოებელი წილი ჰქონდეთ, ვინაიდან ისინი ხშირად დებულობენ ნაკლებ დაფინანსებასა და მხარდაჭერას, ვიდრე მათი მამაკაცი კოლეგები.

3. საჯარო დაფინანსება

b) ფინანსური მხარდაჭერა

178. კანონმდებლობაში მკაფიოდ უნდა იყოს ნებადართული, რომ სახელმწიფო მხარდაჭერა პოლიტიკური პარტიებისათვის ფინანსური ხასიათის იყოს. საჯარო თანხების განაწილება პოლიტიკურ პარტიებში ხშირად მიიჩნევა კანდიდატების თანაბარი შესაძლებლობების პრინციპის დაცვის მნიშვნელოვან ფაქტორად, განსაკუთრებით იქ სადაც, სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმი მოიცავს ქალებისა და უმცირესობებისთვის სპეციალურ დებულებებს. სადაც პარტიებს გამოეყოფათ ფინანსური მხარდაჭერა, სათანადო საკანონმდებლო აქტები უნდა ადგენდეს გზამკვლევებს, რათა განისაზღვროს იმგვარი დაფინანსების სახე, რომელიც რეციპიენტებს შორის უნდა განაწილდეს ობიექტური და მიუკერძოებელი გზით.

c) საჯარო მხარდაჭერის სხვა ფორმები

179. პირდაპირი დაფინანსების გარდა, სახელმწიფომ პარტიებს შესაძლებელია შესთავაზოს სხვაგვარი მხარდაჭერა, როგორცაა; პარტიის კომპეტენციის ფარგლებში გადასახადებისგან გათავისუფლება, უფასო საეთერო დროის გამოყოფა, ან კამპანიის ღონისძიებათა ჩატარების მიზნით სხდომათა დარბაზებით უფასოდ სარგებლობა. ნებისმიერ შემთხვევაში პარტიებისთვის და კანდიდატებისთვის, ორივე ფინანსური და არაფინანსური სახის მხარდაჭერა გაწეულ უნდა იქნას თანაბარი შესაძლებლობების საფუძველზე (ქალებისა და უმცირესობების ჩათვლით). “თანასწორობა” შეიძლება არ გახლდეს აბსოლუტური თავისი ბუნებით, მაგრამ სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის (ფინანსური თუ სხვა სახის) პროპორციულად (თანაბრად) გამანაწილებელი სისტემა უნდა ობიექტური, სამართლიანი და მიზანშეწონილი იყოს.

180. არჩევნებში ქალთა მონაწილეობის მხარდასაჭერად, სახელმწიფომ შესაძლებელია ასევე უზრუნველყოს ბავშვთა უფასო მოვლის ან სხვა მსგავსი ღონისძიებები და ფინანსური მექანიზმები, რათა მხარი დაუჭიროს ოჯახური ვალდებულებების მქონე კანდიდატებს. ამგვარი ალტერნატიული დახმარების არატრადიციული ფორმები შეიძლება საჭირო გახდეს, რათა ქალებს გაუჩნდეთ პოლიტიკურ ცხოვრებაში სრული მონაწილეობის საშუალება. სხვა ამგვარი დახმარება მიზანმიმართული მდებდრობითი სქესის ან არახელსაყრელ პირობებში მყოფი კანდიდატებისთვის შეიძლება

განხილულ იქნას ვალდებულებათა თვალსაზრისით, პოლიტიკურ ცხოვრებაში ისტორიული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.

181. უფასო საეთერო დროის გამოყოფა კანდიდატათვის, რომლებიც არჩევნებში იყრიან კენჭს წარმოადგენს სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ერთ-ერთი ყველაზე მარტივი და ეფექტური საშუალებას. გარდა ამისა, მასმედიის საეთერო დრო წარმოადგენს იმის გარანტს, რომ სახელმწიფო აკმაყოფილებს მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს ინფორმირებული ელექტორატის ჩამოყალიბების შესახებ. უფრო მეტიც, მედია, ისევე როგორც ყველა საკომუნიკაციო სისტემა, გადამწყვეტ როლს თამაშობს გენდერული სტერეოტიპების ფორმირებაში. რაც ხელს უწყობს მდედრობითი და მამრობითი სქესის კანდიდატთა უნარისა და პოტენციალის რეალური სურათის წარმოჩენას, ისევე როგორც მამაკაცებისა და ქალების ცხოვრების სურათის ასახვას სტერეოტიპებზე არ დამყარებული, მრავალფეროვანი და დაბალანსებული გზით. ამგვარად, საჯარო დაფინანსების ნებისმიერმა სისტემამ უნდა განიხილოს უფლებამოსილი კანდიდატებისთვის საეთერო დროის გამოყოფა. შეძლებისდაგვარად, ანალოგიური საეთერო დრო უნდა იქნას მიწოდებული კანონით გათვალისწინებულ თანაბარ საფუძველზე (განაწილება შეიძლება განხორციელდეს აბსოლუტური თანასწორობის ან სამართლიანობის საფუძველზე, მხარდაჭერის დადგენილ დონეზე დაყრდნობით). თანასწორობა ეხება როგორც გამოყოფილი დროის ოდენობას, ასევე მისი განაწილების ხასიათსაც.

ე) საჯარო დაფინანსების მოპოვების მოთხოვნები

191. პარტიის მხრიდან ფონდების განაწილება მდედრობითი კანდიდატების მხარდასაჭერად არ უნდა იყოს მიჩნეული დისკრიმინაციულად, მაგრამ განხილულ იქნას სპეციალური ღონისძიების თვალსაზრისით, რაც განსაზღვრულია CEDAW (მე-4 მუხლი) მიხედვით. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2003/3 რეკომენდაციის მიხედვით, პოლიტიკურ და საზოგადოებრივი გადაწყვეტილების მიღებაში ქალთა და მამაკაცთა დაბალანსებული მონაწილეობის შესახებ, სახელმწიფო ფონდების განაწილება შეიძლება განხორციელდეს ქალთა მონაწილეობის მოთხოვნების შესაბამისად. 61 ვინაიდან მნიშვნელოვანია პარტიის შიგნით საქმიანობის თავისუფლების დაცვა კანდიდატებისა და პლატფორმების შერჩევასთან მიმართებაში, საჯარო დაფინანსება შესაძლებელია გონივრული თვალსაზრისით შეიზღუდოს ძირითადი ვალდებულებებიდან გამომდინარე.

192. სახელმწიფო დაფინანსების მისაღებად მიზანშეწონილია სახელმწიფოს მხრიდან მინიმალური მოთხოვნების დაწესება სახელმწიფოთათვის. მსგავსი მოთხოვნები შეიძლება მოიცავდეს:

- პოლიტიკური პარტიის რეგისტრაციას
- მინიმალური ღონის მხარდაჭერის დადასტურებას
- გენდერულად დაბალანსებულ წარმომადგენლობას

- არსებულ მოთხოვნათა შესაბამისად ფინანსური ანგარიშების დაწერას (წინა არჩევნების ჩათვლით)
- სათანადო ანგარიშგებისა და აუდიტის სტანდარტებთან შესაბამისობას.